



**ATIPfund**  
GEORGIA

საქართველო, თბილისი 0177

თამარაშვილის ქ. № 15ა

ტელ/ფაქსი: (+995 32) 2 395 350

15a Tamarashvili str.

Tbilisi 0177, Georgia

Tel/Fax: (+995 32) 2 395 350

www.atipfund.gov.ge

**ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი**

**State Fund for Protection and Assistance of (Statutory) Victims of Human Trafficking**



KA030860179910116

№ 07-8/ა

11 / იანვარი / 2016 წ.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ცენტრალური აპარატის, სტრუქტურული (თავშესაფარი) და ტერიტორიული (ფილიალი) ერთეულების ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ**

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №412 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის“, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის №146 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დებულების“ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მუდმივმოქმედი საკონკურსო-საატესტაციო კომისიისა და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოს შექმნის შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 6 იანვრის #07-1/ს ბრძანების საფუძველზე,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. არაუგვიანეს 2016 წლის 15 იანვრისა გამოცხადდეს კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის (შემდგომში – ფონდი) ცენტრალური აპარატის, სტრუქტურული (თავშესაფარი) და ტერიტორიული (ფილიალი) ერთეულების დანართი 1-ით განსაზღვრულ ვაკანტურ თანამდებობებზე.
2. დამტკიცდეს ფონდის ცენტრალური აპარატის, სტრუქტურული (თავშესაფარი) და ტერიტორიული (ფილიალი) ერთეულების ამ ბრძანების დანართი 1-ით გათვალისწინებული ვაკანტური თანამდებობებისათვის განსაზღვრული საკონკურსო მოთხოვნები დანართი 2-ის შესაბამისად.
3. კანდიდატს განცხადების წარსადგენად ეძლევა ათდღიანი ვადა, კონკურსის გამოცხადების დღიდან. კონკურსში მონაწილეობისათვის განცხადების წარდგენა შეიძლება მხოლოდ ელექტრონული ფორმით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის ([www.hr.gov.ge](http://www.hr.gov.ge)) მეშვეობით.
4. ეთხოვოს ფონდის საკონკურსო-საატესტაციო კომისიას კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფა.
5. კონკურსის პროცედურებთან და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით შეიქმნას საპრეტენზიო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
  - ა) ნათია ბერიკაშვილი – ფონდის სამართლებრივი უზრუნველყოფის, საზოგადოებასთან და დონორებთან ურთიერთობის დეპარტამენტის იურიდიული სამმართველოს უფროსი, კომისიის თავმჯდომარე;
  - ბ) ნინო გველესიანი – ფონდის სამართლებრივი უზრუნველყოფის, საზოგადოებასთან და დონორებთან ურთიერთობის დეპარტამენტის იურიდიული სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, კომისიის

თავმჯდომარის მოადგილე;

გ) ირაკლი ჭყონია – ფონდის სამართლებრივი უზრუნველყოფის, საზოგადოებასთან და დონორებთან ურთიერთობის დეპარტამენტის იურიდიული სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი;

დ) მანანა ფურცხვანიძე – ა(ა)იპ „ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის“ იურისტი, კომისიის წევრი.

6. დაევალოს საპრეტენზიო კომისიას, უზრუნველყოს კონკურსის პროცედურებთან და კონკურსის შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №412 დადგენილებით დამტკიცებული “საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის” შესაბამისად.

7. საპრეტენზიო კომისია პრეტენზიებს იღებს ელ.ფოსტის მეშვეობით: [contact-atipfund@moh.gov.ge](mailto:contact-atipfund@moh.gov.ge) ან მისამართზე: ქ. თბილისი, თამარაშვილის 15ა.

8. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ. #6), კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დირექტორი



თამილა ბარკალავა